პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — პარასკევი, 25 დეკემბერი 1925 წ. — წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

294 (992) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გავაღრმავოთ საზამთრო სწავლება.

ყველა ნაწილებიდან მოდის კორესპონდენციები და შენიშვნები იმის შესახებ, რომ წითელი ჯარის ახალი შევსება ენერგიულად შეუდგა საზამთრო პერიოდის სწავლებას. სამხკორები თავის წერილებში აღნიშნავენ იმ განსაკუთრებულ ხალისს და ბეჯითობას, რომელიც ახასიათებს ახალგაზრდა წითელ არმიელებს მათი მოვალეობების შესრულების დარგში. ეს ძლიერ კარგი ნიშანია ჩვენი წითელი ჯარის განმტკიცების და გაძლიერებისათვის.

საჭიროა, რათა ეს ხალისი და აღფრთოვანება წითელ მებრძოლებს ბოლომდი შერჩეს. ყოველდღიურად ახალმა შევსებამ უფრო და უფრო უნდა გააღრმავოს თავისი სამხედრო-პოლიტიკური სწავლება. არც ერთი წუთი, არც ერთი უმნიშვნელო დროც კი არ უნდა იქმნას უქმად გაცდენილი, არამედ გამოყენებულ უნდა იქმნას სამხედრო ცოდნის შესაძენად და წითელი ჯარის საბრძოლო უნარის ასაწევად.

განსაკუთრებით წითელ არმიელები უნდა დაეწაფონ სამხედრო საქმეს, თავის გაწრთვნას ამ საქმეში. არა ერთხელ გვითქვამს, რომ წითელ ჯარში მთავარია სამხედრო საქმე და დისციპლინა. თითეული წითელი არმიის ჯარის კაცის ვალდებულებას შეადგენს საფუძვლიანად გაეცნოს სამხედრო საქმეს, გახდეს საუკეთესო წითელი მეომარი. ეს კი ადვილი ამოცანა არ არის. საჭიროა ენერგია, მუყაითობა, თავისი მოვალეობის ღრმად შეგნება, შეუდრეკლობა.

მაშასადამე სამხედრო და პოლიტიკური სწავლებაც უფრო გაღრმავებულ უნდა იქმნას. სამხკორებმა უნდა მოგვწერონ დაწვრილებით ყველა მიღწევების შესახებ ამ მხრივ. განსაკუთრებით საჭიროა აღნიშვნა დაწინაურებულ წითელ არმიელების, რომლებიც თავისი დისციპლინიანობით და მუყაითი მუშაობით სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ სხვებისათვის. საჭიროა აგრეთვე ყველა ხარვეზებისა და დაუდევრების გამომზეურებაც.

ერთი სიტყვით ზამთრის პერიოდის სწავლება კიდევ უფრო გაღრმავებულ და გაძლიერებულ იქმნას.

ყოველმა წითელმა მებრძოლმა მტკიცედ უნდა დაისახოს მიზნად, თავისი მუყაითი და გულმოდგინე მეცადინეობით, ხელი შეუწყოს სწავლების ზამთრის პროგრამის წარმატებით და ნაყოფიერობით გავლას.

## ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე.

ჩინეთის სახალხო არმიებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ჩჟან-ზო-ლინის უკანასკნელი სიმაგრე ტიან-ძინი. ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს ჩჟან-ზო-ლინის საბოლოო დამარცხებათ.

ფინ-იუი-სიანი ხდება დღეს უძლიერეს პიროვნებათ მთელ ჩინეთში. მთელ ჩინეთის ტერიტორიაზე უკვე აღარ მოიპოვება ისეთი შეიარაღებული ძალა ჩინელებისაგან შემდგარი, რომელიც გაუმკლავდებოდა სახალხო არმიებს. ფინ-იუი-სიანის ასეთი სწრაფი წინსვლა და გამარჯვება აიხსნება იმით, რომ მას თანაუგრძნობს და მხარს უჭერს მშრომელთა ფართე მასები. „ჩინეთი უნდა განთავისუფლდეს იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან“—აი რა დააწერა მან თავის დროშაზე, რომელმაც ის მიიყვანა ჩჟან-ზო-ლინზე გამარჯვებამდე.

ამრიგად ჩჟან-ზო-ლინი დამარცხებულია, ფინ-იუი-სიანმა გაიმარჯვა. თითქოს დადგა ჩინეთის განთავისუფლების მომენტი, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩინეთში კვლავ დარჩენ ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები.

იაპონიამ ჯარები გადაასხა სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის მიმართულებით. ჩინეთში იმყოფება ინგლისის ჯარები და ჯავშნიანი გემები. განა ასე ადვილად დაუთმობენ უცხოელი მყვლეფელები ჩინელებს ჩინეთს. რასაკვირველია არა. მართალია ჩჟან-ზო-ლინის ჯარების განადგურება ეს დიდი ლახვარია მათთვის, განსაკუთრებით იაპონიის იმპერიალიზმისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმპერიალისტები ფარ ხმალს დაყრიან და ჩინეთიდან გაბრძანდებიან.

ცხადია ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ შეინარჩუნონ თავისი ბატონობა ჩინეთში.

ამიტომაც ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა სრულიადაც არ გათავებულა. ამ ბრძოლის სიძნელე მხოლოდ იწყება.

აქედან ფინ-იუი-სიანის და მთელი ჩინეთის ხალხის წინაშე სდგას მტკიცე ამოცანა—ბოლომდი შეუდრეკელი დარჩენ თავის ბრძოლაში უცხოელების მოძალადეების წინააღმდეგ.

ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე—აი რა უნდა იყოს მათი ლოზუნგი. და როცა ეს ლოზუნგი ხორცს შეისხამს, გახდება სინამდვილეთ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ, რომ ჩინეთი ჩინელებს ეკუთვნის და უცხოეთის ბატონობა იქ სამუდამოთ დამარცხებულია.

—ე.

## ბრძოლა ჩინეთში.

### ფინ-იუი-სიანმა დაიკავა ტიან-ძინი.

**ფინ-იუი-სიანის ჯარებმა დაიკავეს ტიან-ძინი და ხელთ იგდეს აუარება ტყვე და დიდძალი რაოდენობა იარაღისა და ტყვიაწამლის.**

## გერმანიის გაზეთები რკპ-ს ყრილობის შესახებ.

გერმანიის ყველა გაზეთები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს რკპ-ს ყრილობის ანგარიშებს. შიგა პარტიული უთანხმოება მათ აღარ აინტერესებთ ამ ჟამად იმდენად, ვინაიდან პრესას აღარ აქვს უკვე განხეთქილების იმედი პარტიაში.

მთავარ ყურადღებას აქცევენ სტალინის განცხადებას სამეურნეო—საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

## პოლონეთის ოქროს კურსი საგრძნობლად დაეცა.

**სამინისტროებმა შესწყვიტეს ვალების გასტუმრება.**

პოლონეთის ფინანსთა სამინისტრომ შეუწყვიტა კრედიტი სამინისტროებს. ამის გამო სამინისტროებმაც შესწყვიტეს ფულის გაცემა სამრეწველოებსა და კერძო პირებზე, რომლებისაც ემართად სამინისტროებს სახაზინო გარიგებების თანახმად.

პოლონეთის ოქროს კურსი დაეცა 15 პროც.

## ამხ. ლიტვინოვი ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ.

**მართალი გზა საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისთვის.**

ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ხელშეკრულებაში განმტკიცებულია ის ურთიერთობა, რომელიც უკვე არსებობს ორივე სახელმწიფოს შორის.

არ დავფარავ, რომ ურთიერთობის ფორმალური განმტკიცება გამოწვეულია იმ ხმებით და ყალბი ცნობებით, რომლებსაც ავრცელებდა ინგლისის გაზეთები, თითქოს საბჭოთა კავშირსა და იტალიას რაღაც ხელშეკრულება დაუდვათ ოსმალეთის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ საბჭოთა კავშირმა იცოდა ზოგიერთ სახელმწიფოს განზრახვები ჩაეთრიათ ოსმალეთი კამპანიაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამტკიცებს რა საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის ისედაც არსებულ მეგობრულ ურთიერთობას, შეთანხმება იმავ დროს სერიოზული ნაბიჯია საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების გზაზე. საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო, რომ გარდა გამოქვეყნებულ ოქმებისა, არავითარი საიდუმლო ოქმი არ არსებობს. ამის დამამტკიცებელია ისიც, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა დასდოს მსგავსივე ხელშეკრულება ყველა სახელმწიფოებთან, რომლებთანაც ის ნორმალურ ურთიერთობაში იმყოფება. მხოლოდ ამ ნიადაგზე დადებული ხელშეკრულება მოსპობს წინააღმდეგობას სახელმწიფოებს შორის; მხოლოდ ასეთი გზა აგვაშორებს ერთმანეთში ომებს და არა ერთა ლიგის ისეთი მახინაციები, როგორიცაა ლოკარნოს ხელშეკრულება“.

## კ.წ.დ.ა ყოფილი სარდლის ამხ. კორკის გამგზავრების გამო ახალი სამსახურის ადგილზე.

### ამხ. კორკის წერილი კავკასიის არმიის სამხედრო მსახურთა და წითელ არმიელებისადმი.



ამხანაგებო! მივემგზავრები რა კავკასიის არმიიდან დასავლეთ სამხედრო ოლქში, სამსახურის ახალ ადგილზე, გიგზავნით გამოსათხოვარ სალამს.

ცხრა თვის განმავლობაში თქვენთან მუშაობამ ჩვენი კავკასიის არმიის გაძლიერების საქმეში იმდენად დამაახლოვა თქვენთან, რომ მენანება კავკასიის არმიიდან გასვლა.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის თავდაცვის უნარიანობის საქმეში ჩვენი შეერთებული მოღვაწეობა პირადად ჩემთვის, სამწუხაროდ, უნდა შესწყდეს.

ამ უკანასკნელ წელში ჩვენი შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობა სწარმოებდა მტკიცე საფუძველზე, რომელიც ჩაუყარა ამ საქმეს განსვენებულ მიხეილ ვასილის ძე ფრუნზემ. ეს საფუძველი ყველასთვის ცხადია. ის გვიმსუბუქებდა ყველას ჩვენი მოვალეობის ასრულებას.

გარდა ამისა პირადად მე მიადვილდებოდა მუშაობა ჩემი თანამოსამსახურეების დისციპლინიანობის, საქმისათვის თავდადებისა და მუშაობის უნარიანობის მეოხებით, რამაც დაუფასებელი დახმარება გამიწია მე კავკასიის არმიის ხელმძღვანელობის საქმეში.

ამ დახმარებისთვის გულითად მადლობას ვუძღვნი კავკასიის არმიის მუშაკებს.

გემშვიდობებით რა ამხ. სამხედრო მსახურნო და წითელ არმიელებო, გისურვებთ წინანდებური წარმატებითა და ერთგულად გაგეგრძელებიოთ კავკასიის არმიის საბრძოლო მომზადებისა და ჩვენი საბჭოთა ამიერკავკასიის თავდაცვის უნარიანობის გაუმჯობესების საქმე.

ამხანაგური სალამით თქვენი
კორკი.

23/XII—25 წ.
ტფილისი.

## ამხ. კორკის გამგზავრება

23 დეკემბერს ტფილისიდან სამსახურის ახალ ადგილზე გაემგზავრა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ყოფილი სარდალი ამხ. კორკი, რომელიც დანიშნულია ჩრდილო-დასავლეთ ოლქის სარდლად.

სადგურზე კორკი გააცილა ტფილისის გარნიზონის სამხედრო—მეთაურთა შემადგენლობამ; აქვე იყო არმიის სამმართველოს უფროსი ამხ. გიორგაძე, შტაბის უფროსი კუზნეცოვი და სხვა.

წასვლის წინ ამხ. კორკმა შემოიარა არმიის ყველა დაწესებულებები და მადლობით მიმართა არმიის განყოფილებათა ყველა უფროსებს ერთგული სამსახურისა და მუშაობაში ხელის შეწყობისათვის.

# კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XIV ყრილობა

### ამხ. კოგანოვიჩის სიტყვა.

ორჯონიკიძის შემდეგ გამოდის ამხ. კოგანოვიჩი—ზინოვიევს თანამოხსენებაში—ამბობს ის—არ აღუნიშნავს პარტიის დიდი მიღწევები ამ უკანასკნელ წელში. მან აღნიშნა მხოლოდ ის, რომ ჩვენ წინ გვიდგას სიძნელენი და მხოლოდ სიძნელენი. ლენინი გვასწავლიდა: როცა ჩვენ ვარჩევთ პოლიტიკურ საკითხებს, უნდა ავიღოთ გარემოება მთლიანად და არა ცალმხრივად; უნდა ავიღოდ როგორც სიძნელენი, ისე მიღწევებიც. ჩვენ ვსთვლიდით და ვსთვლით ლენინგრადის ორგანიზაციას ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციად. მით უფრო ჩვენ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ ამ ორგანიზაციას, რათა ის იყოს დისციპლინისა და პარტიის სწორი ხაზის მაგალითი. ჩვენ სერიოზულად უნდა წავიმუშაოდ, რათა მოვსპოთ სხვადასხვაობა. ჩვენ ვიბრძოდით ლენინიზმის რევიზიის და ტროცკიზმის წინააღმდეგ არა იმისთვის, რომ ჩვენში გაჩენილიყო ზინოვიევიზმი და სხვა. ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რათა პარტია მიდიოდეს ლენინიზმის გზით და ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამ ყრილობაზე საკითხის ისე გადაჭრას, რომელიც ყრილობის შემდეგ საშუალებას მისცემს პარტიას შეთანხმებულად მოჰკიდოს ხელი მის წინაშე მყოფ ამოცანების ასრულებას.

## კამათი ცეკას მოხსენების გარშემო.

### ამხ. კამენევის სიტყვა.

21 დეკემბერს, ყრილობის დილის სხდომაზე მოხსენებით გამოდის ამხ. კამენევი. ის აღნიშნავს, რომ პარტიის ცეკამ იჯარის აღებისა და სამუშაო ძალის დაქირავების ნებართვით ფართედ გაუხსნა ხელი სოფლის ბობოლას და რომ ეს ნებართვა რამოდენიმედ შეკვეცილ უნდა იქნას. კამენევი უარყოფს აზრს, რომ ლენინგრადელებს სურს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა.

### ამხ. ტომსკის სიტყვა.

ამხ. ტომსკი გამოდის ლენინგრადელ ამხანაგებზე საპასუხო სიტყვით, რომელსაც მხარს უჭერს მხურვალე ტაშით ხვდება ყრილობა.

ის ამბობს, რომ პარტიამ არ უნდა განდევნოს თავის რიგებიდან ის ამხანაგები, რომლებიც შეცდომას უშვებენ.

ვერ მოიქცენ სწორად ლენინგრადელი ამხანაგები, როცა ცეკას მიერ მათი აზრის დაგმობის შემდეგ ისინი გაემგზავრენ ლენინგრადში და სცდილობდენ მიემხროთ კომკავშირი თავისკენ.

პარტია ჰგმობს ასეთ მოქმედებას. ამხ. ზინოვიევი ბრალს სდებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეცდომებში, ხოლო თვითონ სამაგიეროდ არაფერს იძლევა. ორატორი ჰგმობს კამენევის წინადადებასაც, სადაც უკანასკნელი ამბობს, რომ მიეცეს მუშებს ის მოგება, რომელიც შემოაქვს მათ საწარმოოს. ეს მოგება—ამბობს ტომსკი—უნდა მოხმარდეს საერთო აღმშენებლობას.

დასასრულ ამხ. ტომსკი მიუთითებს იმაზე, რომ უკანასკნელ დროს ლენინს აშინებდა პარტიაში „მეშჩანური“ გავლენის გაძლიერება და არ გვირჩევდა ყველა მუშების განურჩევლად მიღებას პარტიაში.

ლენინი ჯერ კიდევ 1922 წელში მოითხოვდა, რომ მუშების პარტიაში მიღებისთვისაც კი დაწესებულიყო დიდი საკანდიდატო სტაჟი; ეს იმიტომ, რომ უკეთ აღზრდილიყო კანდიდატები და რომ მუშების სახით პარტიაში არ მოხვედროდენ ჩამორჩენილი „მეშჩანური“ ფენები.

ხოლო დღეს, ლენინგრადელ ამხანაგების აზრის მიხედვით, პარტიაში უნდა გატარდეს სწორედ ის შეხედულება, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა ლენინი.

### ამხ. ულიანოვას სიტყვა.

ლენინის და აღნიშნავს, რომ ლენინს არ უყვარდა დავა პარტიის შიგნით, რაიც ტყვილა უბრალოდ ხარჯავს პარტიის ძალებს და ასუსტებს მას.

22 დეკემბერს გრძელდება კამათი, რომელიც მესამე დღეა რაც დაიწყო.

დილის სხდომაზე ლაპარაკობენ რუძუტაკი, სარკისი, ლარინი, კიროვი, ზელინსკი, ჩაპლინი, საფაროვი და ლომოვი.

საღამოს სხდომაზე გამოდიან სამხედრო საზღვაო საქმეთა კომისარი და რევ·ამხსაბჭოს წევრი ა. ი. ვოროშილოვი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

### ამხ. რიკოვი,

რომელსაც ყრილობა მხურვალე ტაშით ხვდება. რიკოვის მოწოდებაზე: „ყრილობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად“, — ყრილობა უპასუხებს: „გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!“ ყველანი დგებიან „ინტერნაციონალის სიმღერით.

ამით დასრულდა კამათი ცეკას ანგარიშის გარშემო.

# სამხედრო საქმე.

## ადგილმდებარეობის მნიშვნელობა სამხედრო საქმეში.

ჩვენ ვიცით, რომ ადგილმდებარეობა სხვადასხვანაირია: მთები, ხრამები, დავაკება, ხეობა და ვაკეები. ტყეები, ჭალები, ღობეები, მდინარეები, ტბები და სხვა აუარება საგნები კიდევ მეტ სხვადასხვაობას აძლევენ ადგილმდებარეობას.

ერთ შემთხვევაში ერთი ადგილი მეტად სასარგებლო და ხელსაყრელია, მეორე შემთხვევაში—არა.

უნდა შეგვეძლოს ადგილმდებარეობის გამოყენება ისე, რომ ის ჩვენი დამხმარე გამოდგეს. ხოლო ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა გავლენას მოახდენს ესა თუ ის ადგილი ჯარების მოქმედებაზე: ხელს შეუშლის ის ამ მოქმედებას, თუ, პირიქით, ხელს შეუწყობს მას. ავიღოთ მაგალითად ბორცვიანი ადგილი: ყოველი ბორცვი, ყოველი გორაკი ჩვენი სასარგებლო გახდება, თუ რომ შევსძლებთ მათ მოხმარას. ამ ბორცვებზე ან გორაკზე მოფარებით ჩვენ ადვილად დავაზიანებთ მტერს, ხოლო ის ვერაფერს გვაწყენს. თხრილი, ორმო, ღობე და სხვა ასეთები საშუალებას მისცემს მეომრებს უვნებლად მიუახლოვდენ მოპირდაპირეს.

მეორეს მხრივ ადგილმდებარეობა ხშირად უძნელებს ჯარებს მოქმედებას. მაგალითად ჩვენი მოძრაობის გზაზე შეგვხვდა მდინარე, ძნელი გადასავალი მთები, ჭაობები, ტყეები და სხვა, ან და ადგილმდებარეობა იმდენად ვაკე და გაშლილია, რომ უვნებლად მტერთან მიახლოვება მეტად ძნელი ხდება.

ერთი სიტყვით, ერთი და იგივე ადგილმდებარეობა ერთ შემთხვევაში ჩვენი დამხმარე იქნება, მეორეში—ჩვენი უსაშინელესი მტერი.

აქედან ცხადია, რომ იმისთვის, რათა გამოვიყენოთ ადგილმდებარეობა როგორც წესი და რიგია, პირველყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ეს ადგილმდებარეობა, ე. ი. შევისწავლოთ ის, ხოლო შემდეგ ვიცოდეთ, თუ როგორი საგნები მოგვიტანს ამ შემთხვევაში სარგებლობას და როგორი—ზარალს.

პირველი უნდა გამოვიყენოთ, ხოლო მეორეს გვერდი უნდა შევუაროთ.

უნდა გვახსოვდეს, ბრძოლა შეიძლება წარმოსდგეს ყოველ ადგილზე.

ამიტომ უნდა ვიყვეთ ამისათვის მზად, ე. ი. უნდა შევისწავლოთ ყოველი ადგილი და მისი ცალკე საგნები, რათა მოულოდნელად არ შევეჩეხოთ დაბრკოლებას და გონივრად გამოვიყენოთ ადგილმდებარეობის ყოველი მხარე.

პ.

# თვითმკვლელობანი გერმანიაში.

საწარმოო საქმეების შესუსტების გამო გერმანიაში გახშირდა თვითმკვლელობა. ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში მარტო ბერლინში თავი მოიკლა 74 კაცმა.

# საბჭოთა კავშირში.

## უცხოელი ინჟენრების ჩამოსვლა.

ლენინგრადში ინგლისიდან და შვეციიდან ჩამოვიდენ ინჟენრები ვოლხოვსტროიზე (უდიდესი ელექტრო-სადგური ლენინგრადში) და სხვა სადგურებზე სამუშაოდ.

სამხკორო, აბა, გვაცნობე ერთი—
რამდენს გამოაწერიე ჩვენი გაზეთი.

# უცხო სიტყვების ახსნა.

ეპიზოდი—ცალკე შემთხვევა; ეპიზოდური—შემთხვევითი, რომელიც არაა დაკავშირებული სხვა ამბებსა და შემთხვევებთან.

ინსტინქტი—ანგარიშ მიუცემელი გრძნობა; ალღო.

პრესა—ბეჭდვითი ორგანოები—ჟურნალ-გაზეთები.

ფორმალური—გარეგნული.

ნორმალური—სწორი, ბუნებრივი.

მახინაცია—ხრიკები.

სპეციალობა—განსაკუთრებული ხასიათის ხელობა, რომელიც მოითხოვს ერთგვარ შესწავლას წინასწარ.

# 1904-5 წლები.

## პირადი მოგონებიდან.

ცხრაას ოთხი წლის პირველი მაისი ცოტა განსხვავებით ჩატარებულა წარსულ წელთან შედარებით.

აქტიური პარტიის წევრები სამუშაოთ არ გამოსულან. წინ ღამით ქალაქში ათასობით გავრცელდა საპირველმაისო პროკლამაციები. პოლიცია გამზადებული იყო „საჭიროებისათვის“, ყაზახთა პატრულები დრო გამოშვებით დახეტიალობდენ ქუჩებში და თუ შენიშნავდენ თავ შეყრილ ხალხს, ფანტავდენ მათ. ასე ამ რიგად აწარმოებდა პარტია მუშაობას წლის დამლევამდის. 105 წელმა კი ნათლად დაგვანახვა ჩვენი წარსულ მუშაობის ნაყოფი.

აქ გავიხსენებ ერთ პატარა ეპიზოდს, რომელიც შეეხება პირველი მაისის დღესასწაულის მერ შექმნილ პირობებს. იმ ბინის, სადაც მე ვცხოვრობდი, სახლის პატრონი იყო ვაჭარი, მას ყავდა ამხანაგი, ისეც ვაჭარი, რომელიც იქვე ცხოვრობდა მათივე ნათესავი, ხელობით მკერავი, მათ ბლომათ ყავდათ ქარგლები და შეგირდები, პატრონები საკმაოდ ლიპიანი ხალხი იყო.

ამ დამფთხალ ხალხს ერთს საღამოს მოეყარათ თავი, სწორეთ პირველი მაისის წინ ორი სამი დღით და ბჭობა ქონდათ თავის ოჯახის წევრებთან პირველ მაისის მოახლოების შესახებ. მე მახლობელ ოთახში ვიყავი და მათი ლაპარაკი კარგათ მესმოდა. არჩევდენ თუ რომელ ნათესავისას უნდა წასულიყვენ, ნათესაობა მათ ბევრი ყავდათ. ვაჭარი (ჩემი ნათესავი იყო) არჩევდა თავის მამასთან წასულიყო სოფელ ქაჭარში. მკერავი (იგივე შორეული ნათესავი) ურჩევდა ხონში ან ბაღდათში წასვლას, მესამე კი სოფელ მესხეთში ამჯობინებდა წასვლას. ისე იყვენ დამფთხალი პირველ მაისით, რომ მათი აზრით იმ დღეს მთელი ქვეყანა უნდა გადაბრუნებულიყო.

თავიანთ შეგირდებს და ნოქრებს კი უმასპინძლდებოდენ ვაჭრული გინებით და გულს იმშვიდებდენ იმით, რომ პოლიცია და ყაზახები „მოაჭკუიანებდენ“ თავგასულ „ავარა ბიჭებს“. მაგრამ მეორე მხრით ის ჩემი ნათესავი კაცი სწუხდა თავის ქალიშვილზედ, რომელიც ეპარქიალურ სკოლაში სწავლობდა და იცოდა, რომ ისიც ღებულობდა ჩვენთან ერთად მონაწილეობს მოძრაობაში.

მან ჩემს შესახებაც იცოდა, მაგრამ ვერ მიბედავდა ვერაფერს ერთი გარემოების გამო, რაზედაც შემდეგში მექნება ლაპარაკი, როდესაც გადავალ ტერორისტულ აქტების შესრულების ხანაზე.

დადგა 5 წელი. ქუთაისის ქუჩები თოვლით არის მოფენილი. ქუჩებში მარხილებით მოსეირნე ხალხი დასეირნობს. ყველა ქუჩის კუთხეებში მოწაფების ჯგუფები დგანან და დაგუნდავებული თოვლით უხურებენ ზურგს გამვლელთ და თანაც შესძახიან: „გაუმარჯოს ერთობას“.

ერთ მარხილში მოსეირნე ოფიცერს ბლომად მიაყარეს თოვლის გუნდები. გაფითრებულმა ოფიცერმა იძრო რევოლვერი და გაისროლა მოგუნდავეთა ჯგუფისაკენ. მარცხი არ მომხდარა. ყველა გამვლელ გამომლევს შენიშნავ, რომ ის რაღაზედაც უკმაყოფილოა. მასა ინსტიქტიურათ გრძნობს და მოელის ახალ შემთხვევებს. ეს ის დროა, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი წაგებულად მიაჩნიათ. გენერალი სტესელი მესამე თვეა, რაც ალყა შემორტყმული ზის პორტართურის სიმაგრეში. ასეთი ნერვიულობის დროს მოდის ცნობა პეტერბურგში მუშების დახვრეტის შესახებ. ჯერ ხალხი ვერ გამორკვეულიყო, თუ რაში იყო საქმე. ამბავი მუშების დახვრეტის შესახებ მოკლეთ იყო გადმოცემული დეპეშების სახით. ნამდვილილი ცნობები მოგვიტანა სატახტო გაზეთებმა, სადაც გარკვევით იყო მოთხრობილი მუშების დახვრეტის შესახებ.

(გაგრძელება იქნება)

ს. ლომიძე.

# შეისწავლე მარჯვე სროლა.

### რა და რა მიზეზებია დამოკიდებული მსროლელზე, რომლებიც ხელს უშლიან მარჯვე სროლას.

რომ კარგი მსროლელი გახდე, უნდა იცოდე და შეგეძლოს დროზე გამოასწორო ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ შეცდომებს სროლის დროს. ხოლო ეს შეცდომები დამოკიდებულია როგორც შაშხანაზე, ისე ამინდსა და თვით მსროლელზე. შეცდომები, რომლებიც დამოკიდებულია თვით მსროლელზე, განსაკუთრებით კარგად უნდა იქნას შესწავლილი ყველა მეომრების მიერ.

ეს შეცდომები შემდეგში გამოიხატება:

მსროლელმა ვერ გაზომა სწორად მანძილი და ამიტომ ვერ დააყენა კოლა ისე, როგორც საჭიროა, რის გამოც ტყვია გასროლის შემდეგ გადასცდა მიზანს, ან ვერ მიაღწია მას. (გადასცდება თუ კოლა მაღლაა დაყენებული; ვერ მიაღწევს—თუ დაბლაა). ხშირად, თუმცა მსროლელი კარგად გაზომავს მანძილს, მაგრამ მოხდება, რომ უყურადღებობის გამო, კოლას მაინც ვერ დააყენებს სწორად. ამასთან თუ რომ მსროლელმა დამიზნების და ფეხის გამოშლის დროს დააგვერდა შაშხანა, ტყვია არ მოხვდება დამიზნების წერტილში.

თუ დამიზნების დროს მსროლელმა აიღო მცირე ან მსხვილი ნიშანი, ტყვია ან ვერ მიაღწევს მიზანს, ან გადასცდება. მასთან აქვს ზოგიერთ მსროლელს მავნე ჩვეულება, როცა ის ყოველთვის გამიზნების დროს იღებს ერთსა და იმავე შეცდომას. მაგალითად, უჭირავს ნიშანი კოლას ჭრილის მარჯვენა, ან მარცხენა მხარეზე. ხშირად სასროლად გამზადების დროს მსროლელი ვერ დგას ფეხზე მაგრად ან და წოლით სროლის დროს ვერ ირჩევს შაშხანის კარგ დასაყრდნობს; ეს აძლიერებს ტყვიების გაფანტულობას და მაშასადამე, მტერიც ნაკლებად ზიანდება.

ვსთქვათ, ფეხის გამოშლის დროს მსროლელმა ვერ მოსდო სწორად თითი გასაშალ ფეხს ან უცებ გამოჰკრა მას, ან არ შესწყვიტა სუნთქვა ფეხის გამოშლის დროს; ყველა ეს შეცდომები ხელს უშლიან მარჯვე სროლას და მტერიც არ ზიანდება. ამრიგად, რომ კარგი მსროლელი გახდე, საჭიროა კარგად შეისწავლო ყველა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან მარჯვე სროლას და დამოკიდებულია თვით სროლაზე. ეცადე თავიდან აიშორო ეს მიზეზები.

ი. ბ.

ვიცი ბევრ რამეს მოითმენ.
უგაზეთობას—ვერაო
და მეათასე ნომრისთვის,
მას გამოიწერ მჯერაო.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## სკოლას დაემშვიდობა მისი საპატიო კურსანტი ამხ. კორკი.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

23 დეკემბერს სკოლას ესტუმრა მისი საპატიო კურსანტი კავკ. წ. დ. არმიის მთავარსარდალი ამხ. კორკი, რომელიც გადაყვანილი იქნა რუსეთში.

სკოლის უფროსს ამხ. ნადირაძეს ამხ. კორკიმ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა და გადასცა თავისი სურათი შემდეგი წარწერით: „ქართულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლას უსურვებ აყვავებას პოლიტმომუშავეთა აღზრდის საქმეში, რომელსაც შეეძლება ქართველ გლეხისა და მუშებისაგან გამოზარდოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისათვის თავდადებული მებრძოლები.

საპატიო კურსანტი კორკი“.

23/XII 25 წ.

ამხ. კორკს ჩვენი სკოლა იცნობს 1925 წ. 25 თებერვლიდან, როდესაც სკოლა ზეიმობდა საქართველოს გასაბჭოების 4 წ. თავს, სკოლის ერთი წლის თავს და იბარებდა საომარ დროშას, ზემო სვანეთის მშრომელი ხალხისაგან მოძღვნილს.

ამ ზეიმს სხვა სტუმრებთან ერთად ამხ. კორკიც დაესწრო, რომელმაც მგრძნობიარე სიტყვებით მიმართა სკოლას და უსურვა დროშის მედგრად ტარება.

ზეიმზე ამხ. კორკი არჩეულ იქნა სკოლის საპატიო კურსანტად, რის შემდეგ მას კავშირი არ გაუწყვეტია სკოლასთან და დიდ ყურადღებას აქცევდა მას და იცოდა მისი მიხწევები და ჭირვარამი.

მისი დახმარებით სკოლამ მიიღო შესაფერი შენობა და დაიწყო ნორმალური მეცადინეობა.

სკოლის კურსანტები და მეთაურთა შემადგენლობა დიდის პატივით უცქეროდენ მას.

მიუხედავად მისი გადაყვანისა, ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა არ გასწყვეტს მასთან კავშირს მომავალშიდაც, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მედგარ მებრძოლთან.

ამ ჟამად კი, სკოლა ემშვიდობება მას და უსურვებს გაორკეცებულ ენერგიას წითელი არმიის რიგების განსამტკიცებლად.

გ. კიკნაძე.

## ამხ. შალვა ელიავას სახელობის კლუბი.

**1-ლი არტლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონს აქვს საკუთარი თეატრი. დარბაზი საკმაოდ დიდია. იტევს სულ 600 კაცამდე. სხვა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასთან ერთად, კლუბში ძალიან ხშირად იდგმება წარმოდგენები, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე. ამას გარდა ყოველ კვირაში მიდის კინო სურათები არმიელებისათვის.

ამას წინად კლუბში მოწვეული იქნა ლეგიონის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ერთხმად იქნა დადგენილი, რათა თეატრს ეწოდოს ამხ. შალვა ელიავას სახელობის თეატრი. კრება დიდი ოვაციებით შეხვდა გადაწყვეტილებას და იმედი გამოსთქვა, რომ ამხ. ხშირად ინახულებს თავის სახელობის თეატრს და ლეგიონის არმიელებს.

სამხკორი ა. არველაძე.

## სამაგალითო მუშაკი.

**სამხედრო ჰოსპიტალი.**

ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალის რენტგენის კაბინეტში მსახურებს მოწყალე დათ ამხ. მარო კვალიაშვილი, რომელიც ენერგიულად ასრულებს თავის მოვალეობას.

ავადმყოფ წითელარმიელებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ხსენებული მოწყალე დის მზრუნველი ხელი, გარწმუნებთ არ დაავიწყდება იმ ავადმყოფ არმიელებს, რომლებსაც საქმე ჰქონიათ მასთან. ის ყოველთვის გულმოდგინეთ ასრულებდა ექიმის დარიგებებს და ყოველმხრივად ცდილობდა ხელი შეეწყო ავადმყოფების ჩქარა გამორჩენისათვის.

ჰოსპიტალის ნერვიულ განყოფილების ავადმყოფები დიდ მადლობას უძღვნიან ამხ. მ. კვალიაშვილს იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც ის იჩენს ავადმყოფებისადმი.

მონდობილობით ავადმყოფი კ.

## კულტურულ ფრონტზე

**ლიტერატურული გასამართლება.**

**1-ლი ლეგ. საკავშირო გუნდი.**

ამას წინად საკავშირო გუნდში მოეწყო ე. ნინოშვილის მოთხრობის „პარტახის“ გმირების მელანიასი და ლიზას გასამართლება, რომელშიდაც მრავალმა არმიელებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველამ გამოსთქვეს თავიანთი აზრი. მსაჯულები არჩეული იქნენ წითელ არმიელებიდან. მხარეთა კამათის შემდეგ სასამართლომ არ სცნო დამნაშავეთ არც ერთი ბრალდებულთაგანი.

გასამართლებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა არმიელებზე და იქვე გამოსთქვეს სურვილი კიდევ მოეწყოთ ამავე მოთხრობის სხვა გმირების გასამართლება.

სამხკორი ერ. კუჭავა.

## 1905 წ. რევოლიუც. 20 წ. თავი ჩვენს ნაწილებში.

### 1905 წლის რევოლიუცია.

**დღესასწაული მე-4 ლეგიონში.**

1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად ლეგიონში გამოიყო სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა გეგმა ამ კამპანიის ჩასატარებლათ.

კლუბი და ლენ-კუთხეები მორთულ იქმნა სათანადო პლაკატებით, ლოზუნგებით, გამოვაფინეთ ლიტერატურა 1905 წ. რევოლიუციის შესახებ. კომუჯრედის ღია კრებებზე წინასწარ იქმნა ჩატარებული მოხსენებები კამპანიის შესახებ.

19 დეკემბერს ლეგიონის კლუბში შესდგა ლეგიონის შემადგენლობის საერთო კრება 1905 წ. რევოლიუცის 20 წლის თავის აღსანიშნავათ.

კრებას ხსნის სამხკომი ნანაძე.

მოხსენებით გამოდის პარტბიუროს მდივანი ამხ. ტაბუცაძე, რომელიც დაწვრილებით ეხება 1905 წლის რევოლიუციის მსვლელობას და მისი დამარცხების მიზეზებს, თანამოხსენებლად გამოდის სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. ბარამიძე.

მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა ჯეროვანი პასუხი გასცა.

მოხსენების შემდეგ მოგონებით 1905 წლის რევოლიუციაზე გამოდის ამხ. პ. მეუნარგია, რომელიც იგონებს სამეგრელოს გლეხურ რევოლიუციონურ მოძრაობას. ამხანაგის მოგონება მეტად საინტერესო იყო და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა კრებაზე.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ამავე კრებაზე მოხდა ამხ. ს. ორჯონიკიძის საპატიო წ/არმიელათ ჩარიცხვა 1 ასეულში და ჩვენი დივუფროსის ამხ. აღნიაშვილის საპატიო კურსანტათ ლეგსკოლაში ჩარიცხვა.

მათ ჩარიცხვას კრება ერთსულოვან ტაშის ცემით მიეგება.

სამხკორი შურდული

## 1-ლ საარტილერიო ლეგიონში.

18 დეკემბერს შესდგა ჩვენი ლეგიონის წითელარმიელთა და უფ-პოლიტ-შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელიც მიძღვნილი იყო 1905 წლის რევოლიუციის 20 წ. თავის დღესასწაულისადმი. წითელარმიელები მღერიან ინტერნაციონალს. ამხ. სამხკომი კრებას აცნობს ჰადარა რევოლიუციონერს ამხ. სილვა თოდრიას და გლეხს ხარაბაძეს, რომლებიც ლეგიონში მოვიდნენ, რათა წითელარმიელებს გაუზიარონ თავისი მოგონებანი 1905 წელზე. ამხ. სილვამ შეეხო საერთოდ მაშინდელ რევოლიუციონურ მოძრაობას და კერძოდ დაწვრილებით მოუთხრო ბათუმის და მოსკოვის ამბები, რომლის მონაწილე თვითონ იყო. გლეხი ხარაბაძე კრებას მოუთხრობს დასავლეთ საქართველოში 1905 წლის მომხდარ ამბების შესახებ. ის იხსენიებს თავისუფლებისათვის გარდაცვლილ და ცოცხალ მებრძოლებს. მოსწრებულ სიტყვით, ოხუნჯობით ის ბევრ ცოცხალ სურათებს იძლევა მაშინდელ ცხოვრებიდან. მისი მოხსენებით წითელი არმიელები კმაყოფილი არიან. პიონერების ჯგუფი ასრულებს სხვა და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს. დასასრულ პოლიტხელი ამხ. როსნაძე სიტყვას იძლევა მთელი ლეგიონის სახელით ჰადარა რევოლიუციონერების წინაშე ფიცსა სდებს, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეეცდებიან დიდი ბელადის ამხ. ლენინის ანდერძის განხორციელებას. კრების შემდეგ შესრულებული იქმნა რევოლიუციონური სიმღერა.

სამხკორი შალვა ბურკაძე.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

**მეთაურთა სკოლა.**

სკოლის მე-IV უჯრედში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. მართალია კავშირი დიდია თავისი შემადგენლობით, მაგრამ ამით სრულებით არ ფერხდება მასზე საჭირო ხელმძღვანელობა. უმთავრესი ყურადღებას კავშირი აქცევს აღმზრდელობითი მუშაობას და დისციპლინის განმტკიცებას იმდენად, რამდენადაც ეს საკითხი მწვავედ სდგას დღეს მთელი კავშირის წინაშე. ამისათვის ხშირად ტარდება მოხსენებები კომკავშირის ყოფა-ცხოვრებაზე და მის გააქტივებაზე.

კავშირს დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე ლენინის კუთხე, სადაც ჩაბმულია კავშირის წევრების უმეტესობა. გამოდის კედლის გაზეთი, სადაც შუქდება ჩვენი ყოფა-ცხოვრების საკითხები.

მიუხედავად ამისა ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი გაკეთებულია, მომავალში საჭიროა უკეთ იქნეს ჩამოყალიბებული კავშირის მუშაობა.

სამხკორი კვირკველია.

## ჩვენც შევეგებეთ 1905 წ. რევოლიუციის 20 წ. თავს.

**ცხენ. ლეგიონის 2-რე ესკადრონი.**

1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის შესრულების გამო ესკადრონში მოხდა გაერთიანებული საზეიმო კრება, რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდენ შემდეგი ამხანაგები: ჯანაშვილი—მუშათა მოძრაობა 1905 წლამდე; ოკუჯავა—1905 წ. რევოლიუციის შედეგები და გავლენა მუშათა მოძრაობის შემდეგ ეტაპებზე. თანამომხსენებელი იყო ამხ. საათაშვილი, რომელმაც აღნიშნა თუ რა გაკვეთილი მისცა რევოლიუციამ მუშათა კლასს.

წითელ არმიელები იშვიათი გულმოდგინებით უსმენდენ ყველა მომხსენებლებს და დასასრულ მრავალი შეკითხვები მისცეს მათ.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვახტანგაძე ესკადრონში მუშაობის შესახებ. მოხსენებამ გამოარკვია, რომ ჯერ ჯეროვნით ესკადრონი თავის სიმაღლეზე სდგას ყოველმხრივად.

—ყველა ამას ხელი შეუწყო—აღნიშნა ამხანაგმა მეთაურთა და არმიელებს შორის ამხანაგურმა დამოკიდებულებამ და მტკიცე ამხანაგური დისციპლინის დაცვამ.

იმედია ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენთან.

სამხკორი ა. ბაშელი.

## ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

**ვაყის წვევამდელთა წერტი.**

მისვლისთანავე ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოგვცა 6 ოთახიანი შენობა, სადაც მოწყობილი იქნა სამხედრო კუთხე და სამკითხველო. აქ მიმდინარეობს ყველა სიტყვიერი მეცადინეობანი და სკოლის გარეშე მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოს წევრები დიდ დახმარებას გვიწევენ, მოგვცეს დურგლები და მასალა. კეთდება აუცილებელი და საჭირო ნივთები.

წერტზე ადგილი არ ჰქონია დისციპლინის დარღვევას. წვევამდელები სისტემატიურათ დადიან მეცადინეობაზე. მონდომება დიდი აქვთ.

წვევამდელთა მხრივ არავითარი უკმაყოფილებას ადგილი არ აქვს.

ჩამოყალიბებულია პროფკოლექტივი, რომელიც კარგათ მუშაობს.

ხალხი მეტად დაინტერესებულია ჩვენი მუშაობით.

სამხკორი შურდული.

## ჩვენი საქმიანობა

**მე-2 დივიზიის ცალკე მესანგრე ასეული.**

უკვე სამი კვირა სრულდება მას შემდეგ რაც სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა მე-2 დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის წვევამდელთა შორის, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურ დარგში.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენთან უკვე ჩამოყალიბებულია ახკომკავშირის ჯგუფი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს, როგორც პოლიტსაათის ისე სხვა სამეცადინო საათების ჩატარებაში. ჯგუფის ხელმძღვანელობით კვირაში ერთხელ იმართება კრება უპარტიო წვევამდელებთან ერთად, სადაც შესაფერისად შუქდება სხვა და სხვა პოლიტიკური საკითხები მოხსენებების სახით.

წერტზე არჩეულია სარედაქციო კოლეგია, რომელმაც 15 დეკემბერს უკვე გამოუშვა კედლის გაზეთის პირველი ნომერი, სადაც შესაფერისად გაშუქებულია წვევამდელთა მზადების ამოცანები და მათი ყოფა-ცხოვრება.

ჩამოყალიბებულია დრამწრე, რომელიც თავის მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა და შედეგსაც ამ მოკლე ხანში დაგვანახებს.

შეძლებისდაგვარად მოწყობილია, როგორც სამხედრო ისე ლენინის კუთხე, საიდანაც წვევამდელები სარგებლობენ ლიტერატურის სახლში წაღებით, რაიც ჩვენი მუშაობის დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

უადგილო არ იქნება ცნობისათვის იმის აღნიშნა, რომ ზემოთ დასახელებულ წვევამდელთა სამეცადინო წერტზე და მე მგონი საერთოდ ქალაქებში არსებულ წერტებზე, სკოლის გარეშე და საცნობო მუშაობის გატარება ყოვლად შეუძლებელია. ჯერ ერთი იმ მიზეზით, რომ წვევამდელები არ ეწვევიან წმინდა ყაზარმულ ცხოვრებას, რის გამოც შეუძლებელი ხდება ზემოთ დასახელებულ მუშაობისათვის დროს გამონახვა, მეორე ის, რომ წვევამდელთა 97 პროც. მოსწავლე სტუდენტობა და მოწაფეობაა.

ამრიგად აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მუშაობის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იქნება.

რაც შეეხება ჩვენი წერტის თვით წვევამდელთა დაინტერესებას მუშაობაში უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეულად ასრულებენ თავის მოვალეობას. დეზერტირობა და სიმულიანტობა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს.

ნაკლთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ერთის მხრივ, ყოველდღიურად გაზეთების უქონლობა და მეორე ბინის გათბობის საკითხი, რომელიც მეტად მწვავედ სდგას წვევამდელთა შორის ამ მეტად მნიშვნელოვან და ადვილად შესასრულებელ ნაკლის გამოსწორებით, ზემოთ დასახელებულ სკოლის. გარეშე და საცნობო მუშაობის გარდა პროგრამა ღირსეულად გვექნება შესრულებული.

ჩვენი დიდი მადლობა მესანგრე ასეულის ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომელნიც ყოველთვის მზად არიან ხელი შეგვიწყონ მუშაობაში.

ამავე ასეულის წვევამდელთა პოლიტხელი ვასკოტი.

# ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

## ᲕᲘᲜ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ.

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენ ვწერდით, რომ ნაწილში სამხკორთა წრე ეწყობა აუცილებლად ლეგიონის ანუ ასეულის კედლის გაზეთებთან და მათ მუშაობას ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები, განსაკუთრებით კი კოლეგიების თავმჯდომარენი, რომლებსაც ნიშნავს ასეულში—კომუჯრედის ბიურო, ლეგიონში კი ბიურო-კოლექტივი.

მაგრამ ჩვენ ერთ გარემოებასთანაც გვაქვს საქმე, რაც მდგომარეობს შემდეგში: როგორც ვიცით ყოველ ნაწილში ამ ჟამად გამოყოფილია ნაწილის სამხკორი—ორგანიზატორი, რომელსაც ირჩევს ნაწილის ბიურო-კოლექტივი კარგად მომზადებულ სამხკორთა რიცხვიდან.

ჩვენ თვის საინტერესოა ვიცოდეთ; როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ნაწილის სამხკორ-ორგანიზატორსა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს შორის? რომელი მათგანია სამხკორთა საერთო მუშაობის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი?

ამაზე პასუხი ძლიერ ადვილია. ერთ რომელიმე მთავარნაწილში კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია იქნება იმდენი, რამდენიც გამოდის კედლის გაზეთი. ამდენივე აუცილებლად უნდა იქნეს სამხკორთა წრეც.

ამიტომ ნაწილში უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კედლის გაზეთებთან არსებულ სამხკორთა წრეების საერთო მუშაობას. ასეთი პირი კი არის სამხკორი—ორგანიზატორი, რომელიც ხელმძღვანელობს და აძლევს ინსტრუქციებს ნაწილის სამხკორთა ყველა წრეებს და თავის მუშაობის ანგარიშებს უდგენს ბიურო-კოლექტივს.

მი.

# ᲛᲝᲡᲞᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ.

**მე-2 მესანგრეთა ასეული.**

მესანგრე ასეულში არ არის დაცული საჭირო წესრიგი. მაგალითად: ამოკითხვის შემდეგ ყაზარმებში ისევ არის ხმაურობა, ჭიდაობა და სხვა. ამასთანავე ერთად დასაძინებელ ბინებში ეწევიან თამბაქოს, რაც წესდებით აკრძალულია. ასეულის ზემდეგი ამის წინააღმდეგ არ ღებულობს საჭირო ზომებს. პირიქით თვითონ აძლევს სხვას ამის მაგალითს.

ასეულში ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე; ცუდი სიტყვების ხმარება—გინება. დროა უფროსებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ბოლო მოუღონ არსებულ უწესრიგობას.

წ. არმ. ტყისშვილი.

### ᲨᲔᲒᲕᲘᲙᲔᲗᲔᲗ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ.

**მე-2 არტლეგიონის მე-2 წვევამდელთა წერტი.**

არ ვიცი რათ, ხსენებული წერტი სადგურის ქუჩიდან გადაგვიყვანეს მეორე ბინაზე, რომელიც სრულიად მოუწყობელია. როგორც ცუდ ისე კარგ ამინდებში მეცადინეობა გვიხდება ეზოში. ცუდ ამინდებში მუხლამდე დავიარებით ტალახში, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ამხანაგებში. ყველა წერტები დახურულ ბინაზე მეცადინეობენ ცუდ ამინდებში და რად მოგვაყენეს ჩვენ ასეთი სასჯელი? საჭიროა ლეგიონის უფროსმა შესაფერა ზომები მიიღოს და მოგვიწყოს შენობა სამეცადინოთ, თორემ ასეთ მდგომარეობაში ვერაფერს ვერ გავაკეთებთ.

წვევამდელი შ. მოსეშვილი.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲨᲘ.

**ის სცდილობს დააკავოს მოხალისეები.**

საფრანგეთის მთავრობის 1925 წ. ივლისში გამოცემული დეკრეტის ძალით მაროკოში მომქმედ საფრანგეთის არმიაში გაწვეული იქნენ სათადარიგო ოფიცრები, საზღვარგარეთის შევსების ოფიცრები და სხვა სამხედრო პირები, რომლებიც ირიცხებოდენ სათადარიგო—შტატ გარეშე ნაწილებში.

მრავალი მოხალისეები აღმოჩნდენ აგრეთვე სხვა არმიებიდან, რომლებმაც განაცხადეს მაროკოში წასვლის სურვილი.

ზემო აღნიშნული დეკრეტის თანახმად მოხალისეები უნდა დარჩენილიყო მაროკოში მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ მაროკოში გართულებული მდგომარეობა აიძულებს ხელისუფლებას, მოხალისეები დააკავოს კიდევ და ამ ვადაში არ გაანთავისუფლოს არმიიდან; ამასთანავე ფრანგები აპირებენ მომავალ გაზაფხულიდან აპერაციების განახლებას, რისთვისაც ისინი საჭირონი იქნებიან.

ამიტომ სამხედრო მინისტრისათვის მოხალისეების დახმარება აუცილებელია და ის სცდილობს, რათა დეკრეტი დატოვებული იქნეს ძალაში 1926წ. 31 აგვისტომდე.

**უუფლებო ჯარის კაცები.**

საფრანგეთის პარლამენტში კომუნისტი დეპუტატები თავგამოდებით იცავდენ ჯარის კაცის უფლებას, რომლებიც დასჯილი იქნენ „სადისციპლინო საბჭოს" მიერ. კომუნისტების მოთხოვნით ამ ჯარის კაცებს მიეცათ სამხედრო მინისტრისადმი საჩივრის მიცემის უფლება.

მაგრამ რომ ისარგებლონ ამ უფლებით საჭირო არის მრავალ დაბრკოლებათა დაძლევა. პირველი, უფროსი თანამდებობის პირები ყოველ მხრივად ცდილობენ, რომ გააძნელონ საჩივრის მიცემის საქმე, რისთვისაც ისინი მიმართავენ მუქარას. მეორე კი საჩივრის მიცემისათვის არსებული წესი მოითხოვს დიდ დროს,, რადგან მან უნდა გაიაროს ქვევიდან დაწყებული ყველა უფროსების და თითეული მათგანი თავის შეხედულებას აწერს საჩივრის მიცემის შესახებ. ამნაირად გადის თვე სანამ პასუხს მიიღებენ საჩივარზე, ხოლო ამასობაში საჩივრის მიმცემი კი სასჯელის მოხდასაც ასწრებს, იმ მოქმედების გამო, რომელშიდაც ის შეიძლება არც კი იყო დამნაშავე.

ამიტომ კომუნისტი დეპუტატები ურჩევენ ჯარის კაცებს, საჩივრის ოფიციალურად მიცემის გარდა-იმავე დროს მეორე საჩივარი—(ასლი) გადუგზავნონ მათ პარლამენტის წევრ კომუნისტ დეპუტატებს.

ამ საჩივარში საჭიროა აღნიშნული იქნეს: „სადისციპლინო საბჭოს" გადაწყვეტილება, რომლითაც სასჯელი უნდა მოიხადოს საჩივრის მიმცემმა და აღნიშნონ გულწრფელად—სიმართლე მათი მოქმედების შესახებ.

იყო თუ არა საჩივრის მიმცემის მოქმედება შეცდომით ჩადენილი, ან თუ ის გამოწვეულია უფროსების დევნით და სხვა. ასეთი მდგომარეობის დროს დეპუტატები აღუთქვამენ ჯარისკაცებს ყოველგარ დახმარების აღმოჩენას.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲐᲙᲨᲘ.

— **თურქული ახალი ალფავიტი.** ახალი თურქული ალფავიტის შემომღები საზოგადოების ტფილისის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის წინაშე, რათა საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას ახალი თურქული ალფავიტი თურქთა სკოლებში.

— **საქართველოს იუსტიციის კომისარიატმა** შუამდგომლობა აღძრა ცაკის წინაშე რათა მან ა.-კ. ცაკის საშუალებით იშუამდგომლოს საკავშირო ცაკის წინაშე, რომ მოსკოვში მოწვეულ იქნეს იუსტიციის ორგანოთა წარმომადგენლების საკავშირო ყრილობა, მათი მუშაობის საერთო გეზის გამოსამუშავებლად.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ.

— **ბამბის ქარხნის აგება ტფილისში.** სახალხო კომის. საბჭომ მიიღო ამხ. გიგინეიშვილის მოხსენება ტფილისში ბამბის ქარხნის გახსნის შესახებ.

ამასთანავე ერთად ტფილ. აღმასკომს წინადადება მიეცა გამოჰყოს მიწის ნაკვეთი ქარხნის აშენებისათ.

— **უპარტიო გლეხები კომისარიატებში.** განათლების, მიწათმოქმედების და შინაგან საქ. სახ. კომისარიატების კოლეგიების წევრებათ დამტკიცებულ იქნენ უპარტიო გლეხები; ილია ზაუტაშვილი, გიორგი მელაძე და შაქრო ლომაშვილი.

— **სახკომსაბჭომ დაადგინა** დახმარება გაუწიოს საზავშვო კომუნისტურ ორგანიზაციებს.

— **პარტიულ სკოლების** შესანახათ სახკომსაბჭომ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა 210.462 მანეთის რაოდენობით.

— **დადგენილება კოოპერაციის შესახებ.** სახკომსაბჭომ დაადგინა გადასინჯოს თავისი დადგენილება 1924 წლის 22 დეკემბრიდან.

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

— **იურიდიული დახმარება გლეხებს.** 1925 წლის განმავლობაში შორაპნის მაზრაში მოქმედებდა ოთხი იურიდიული დახმარების მაგიდა, სადაც გლეხებს ეძლეოდათ უფასო იურიდიული დახმარება.

— **ჟურნალ-გაზეთები სოფლად.** ახალციხის აღმასკომმა დაადგინა მიიღოს ზომები, რათა ჟურნალ-გაზეთები თავის დროზე ეგზავნებოდეს სოფლებს.

— **ფართლის გადაცემა.** სოფ. ქვაციხისა და კორბოულის გლეხკომებმა ადგილობრივ კოოპერატივებს გადასცეს 4 ათასი მანეთის ფართლეულობა.

— **ქალები გლეხკომებში.** 1925 წლის განმავლობაში გორის მაზრის გლეხკომებში მუშაობდა 780 ქალი.

— **ფუტკრის მოშენება.** მიმდინარე წლის განმავლობაში გორის მაზრის გლეხკომები აწარმოებდენ ფუტკრის მოშენებას. ამ ჟამად გლეხკომებს აქვთ 109 ძირი ფუტკარი.

# ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ. № 7*).

მინდორზე მიდის მეცადინეობა. ოცეულის უფროსი აგზავნის თავის ოცეულის წითელარმიელს ყაზარმაში განაკვეთის შაშხანისთვის. წითელ არმიელი იმეორებს ოცეულის უფროსის განკარგულებას და მიდის ყაზარმაში.

გზაში მას ხვდება იმავე ასეულის მამასახლისი, რომელიც უბრძანებს წითელარმიელს დაუყონებლივ დაბრუნდეს მინდორზე და გადასცეს წერილი ასეულის უფროსს.

როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში წითელ არმიელი?

*). ამხ. წითელარმიელო! ამოცანის ახსნა გადმოგზავნე რედაქციაში.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**გ. ნინუას.** თანახმად კ. წ. დ. არმიის სამმართველოს უფროსის ა. წ. 23 ნოემბრის № 70404 მომართვისა, წვევამდელთა სწავლების ჩამტარებელი უფროსი პოლიტხელები დაკმაყოფილდებიან გასამრჯელოთი სწავლების ჩატარებისთვის ისე, როგორც მეთაურები, თუ უკანასკნელები გასული არიან სწავლების ჩასატარებლად თავის მუდმივი სამსახურის ადგილიდან სხვა წერტზე.

**ლ. მელაძეს.** ბავშვის სრულ წლოვანებამდე მამული უნდა დარჩეს მისი აღმზრდელის და მზრუნველის განკარგულებაში. ყოველგვარი დავა ამ საკითხის გარშემო უნდა გადაწყდეს სახალხო სასამართლოში.

**ი. ურუმაშვილს.** დროებით ცხოვრებისთვის, თუ გაწერილი ხართ კანონიერათ საბინაო დავთარში ფულს არ გადაიხდით, თუ კი იხდიან ქირას ისინი, ვიზედაც ოთახი ირიცხება.

**თ. ჯაშს.** დღიდან სამსახურის თავის დანებებისა ჯამაგირი არ გეკუთვნით, მანამდის კი ყველა თვეების.

**მ. კალატოზს.** მიმართედ მიწის კომისიას.

**პოლიტხელ ვი—ას.** თუ თქვენს ეზოში წყალი არ არის თქვენ თვითონ უნდა იზრუნოთ საკითხის მოსაგვარებლად.

**გ. ბეროზაშვილს.** საჩივრის აღძვრა ჩამორთმეულ მამულების შესახებ დაგვიანებულია, ყოველ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოდ ადგილობრივ აღმასკომს თქვენი ნაწილის უფროსის საშუალებით.

**თ. ქავთარაძეს.** ჯამაგირი მოგეცემათ თანამდებობის მიხედვით. დანიშვნის შესახებ მიმართედ ლეგთავს.

**ი. ჩუთლაშვილს.** უნდა მიმართოდ ადგილობრივ აღმასკომს.

**ნ. კისკივაძეს.** მიმართედ საკითხის გამოსარკვევად სამნეო ნაწილის უფროსს.

**სურმანიძეს.** მოხალისემ უნდა იმსახუროს არა ნაკლებ ერთი წლისა. საერთო კანონით ეს ერთი წელი არ გეთვლებათ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

**კ. მიმინოშვილს.** განთავისუფლდებით კანონით დაწესებულ ვადის გათავებისას.

**შ. ჯანყერაშვილს.** გაუგებარია შეკითხვები.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. დიმელს** (2-რე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ლეგიონიდან უფროსის შესახებ, უმნიშვნელოა. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ანდრო თათოშვილს.** შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ერ. კუჭავას.** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი 1905 წლ. რევოლიუციის შესახებ არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ. კუპრეიშვილს** (2-რე ლეგ) და ი—ვ-ს (1-ლი ლეგ) თქვენი კორესპონდენციები: „2-რე ლეგიონი" და „ლიტერატურული გასამართლება" არ დაიბეჭდება ასეთები ვგვიდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ამხ. ა. იმერლიშვილს და სულიკოს** (4-ხე ლეგ) არმენაკას. (2-რე ლეგ.) და ვანო ნოზაძეს. თქვენი წერილები: „გამონაკლისს არ შევადგენთ", „ჩვენი სკოლა", „2-რე ლეგ. 3-მე ასეული" და „1904წ. ომი" არ გამოგვადგა. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. უღელტეხილს.** (1-ლი მესანგრე) წერილი „ჩვენი პარიკმახერი" გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-2 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება, კომპარტიის კანდიდატებს ამხ. ამხ. დუმბაძე მიხეილს და ბუტერაშვილ ბიქტორს კომპარტიის წევრებათ გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი გადარიცხვის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 ასეულის კომუჯრედში.

**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** ა. ლ. კ. კ. პირადი საქმე, კომკავშირის წევრობის მოწმობა, კომპარტიის საკანდიდატო ბარათი და რევოლვერის წიგნაკი, მოცემული თელავის ა. ლ. კ. კ. სამაზრო კომიტეტიდან ლადო სოსიკოს ძე ლოქაფიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.